ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №976629

ნომერი: AR1173404

თარიღი : 28.10.2013

გაცემის თარიღი : 01.11.2013

გაცნობის თარიღი : 02.11.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ავალიშვილი პ/ნ 01018004484
- ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17დ

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის მიერ #367 (10.03.2009) ბრძანებით მიღებული იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე, ვინაიდან მოცემული ტერიტორია წარმოადგენს იძულებით შეუსაბამო მიწის ნაკვეთს, რადგან განთავსებულია სატრანსპორტო კვანძის გამყოფ, გამწვანებულ ზოლში. ამასთან, დღევანდელი მდგომარეობით მიწის ნაკვეთი ხვდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)–ში,რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს. გამომდინარე აქედან, სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება და კვლავ რჩება იგივე პოზიციაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge